ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ოქტომბრის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

ვარლამ ჭიპაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N15
2023 წლის 27 ოქტომბერი

დაბა ხარაგაული **9 აპრილის ქუჩა #15**

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე
სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარი ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, ქეთევან ზუმბაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, ლენა აბაშიძე, ვახტანგ ტალახაძე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 23 წევრი.
სხდომას ესწრებოდნენ:
მერიის წარმომადგენლები:
ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,
ვლადიმერ გელაშვილი მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.
ნინო მაღლაკელიძე მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:
ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,
ზაალ ორბელაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში.
ნინო თხელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,
ივანე ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე,
საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:
ეკა შავიძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

ვარლამ ჭიპაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 23 წევრი.

მომხრე 23

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე **„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე** (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საბიუჯეტო ცვლილება განვიხილეთ კომისიის სხდომაზე იყო მსჯელობა, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, კითხვები მუნიციპალური ცენტრის, სათნოების სახლის, მუსიკალური სკოლის დაფინანსების თაობაზე, საბოლოოდ კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხი გავიდეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ო. გაგოშიძემ კომისიის წევრმა აღნიშნა, რომ კენჭისყრა მხოლოდ ერთ საკითხზე ჩატარდა და სხვა ცვლილებები კენჭის ყრაზე არ დამდგარა,

პ. კიკალიშვილმა უპასუხა, რომ სხვა საკითხებთან წინააღმდეგობა არ ყოფილა, თუმცა თქვენ უკვე დატოვებული გქონდათ სხდომა.

პ. გოგოლაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე სხვა საკითხებთან დაკავშირებით იყო თანხმობა.

ე. შველიძემ საკრებულოს წევრმა დასვა შეკითხვა კინოთეატრისათვის გამოყოფილი 0.5 მილიონი ლარი რა სამუშაოების დაფინანსებას ითვალისწინებს?

ვ. ჭიპაშვილმა მომხსენებელმა უპასუხა ეს არის ნაპირსამაგრი სამუშაოები.

კ. ბერაძე საკრებულოს წევრი დასვა შეკითხვა სათნოების სახლის ბენეფიციარის მატებაზე თუ არის საუბარი, ვითხოვ ხიდარში რამდენიმე ოჯახის დამატებას.

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ ერთჯერად პაკეტებს ვაკეთებთ ხიდარში.

თ. ავალიშვილმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, დააყენა საკითხი ჯარიმების გეგმის კორექტირებაზე მან ასევე აღნიშნა, მუნიციპალური ცენტრის დაფინანსების შესახებ 10 000 ლარი რაში ჭირდება, როდესაც ჩვენ მივმართეთ მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელს ჩვენი ტრანსპორტით წასვლა მოსახლეობასთან შესახვედრად არ გამოგვყვა, ხალხს აინტერესებს მათ პრობლემებზე საუბარი და გაშუქება ცოტა მეტი ყურადღება მიაქციეთ ხალხს და მოუსმინეთ რა პრობლემები აწუხებთ.

ვ. გელაშვილმა მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ 2024 წლის ბიუჯეტში ვითვალისწინებთ ჯარიმების გეგმის შემცირებას.

ვ. ჭიპაშვილმა მომხსენებელმა უპასუხა თ. ავალიშვილის შეკითხვას მუნიციპალური ცენტრის დაფინანსებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამით სწორდება წლის დავალიანება და უნდა შეიძინოს ფოტო აპარატი.

ე. შავიძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელმა მე გავიარე კონსულტაციები ჩემს ხელმძღვანელობასთან და შევთანხმდით, შევხვდი წყალაფორეთის წარმომადგენელს. ჩვენ ვერ შევთანხმდით დროზე.

კ. გოგსაძემ საკრებულოს წევრმა, მიმართა ე. შავიძეს, ჩემს ხელმძღვანელობას შეუთანხმდიო, რომ ამბობ მეცოდები, ხალხის ფულით ფინანსდები და ხალხთან ერთად უნდა გაიარო, ობიექტურობისთვის პატარა პრობლემა მაინც ხომ უნდა გააშუქო.

სხდომის თავმჯდომარემ მანანა ბარბაქაძემ საკრებულოს წევრებს შესთავაზა წინადადება საბიუჯეტო ცვლილებას მუხლობრივად ეყაროს კენჭი.

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 19 521 100 ლარი გაიზრდოს 2 187 480 ლარით და განისაზღვრება 21 708 580 ლარით; (**მათ შორის კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე 2 033 63ლარით და მიზნობრივი ტრანსფერით 153 842 ლარით).

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 23

თავი შეიკავა

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 20 900 188 ლარი გაიზრდოს 2 217 540 ლარით და განისაზღვრება 23 117 728 ლარით. (**მათ შორის კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე 2 033 638 ლარით, მიზნობრივი ტრანსფერით 153 842 ლარით და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდების ნაშთებით 30 060 ლარით.)

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 23

თავი შეიკავა

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი **ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას გამოეყოს 70 000 ლარი,** აქედან 33 000 ლარი გარე განათების პროგრამაში ელექტროენერგიისა და შრომის ანაზღაურების ხარჯებისათვის; 37 000 ლარი დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის პროგრამაში

ტექნიკის რემონტის, საწვავის და სხვადასხვა გადაუდებელი ხარჯებისათვის

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 23

თავი შეიკავა

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი **ა(ა)იპ სამუსიკო სკოლას გამოიყოს 3 300 ლარი** მუსიკალურ კონკურს-ფესტივალში მონაწილეობისათვის

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 23

თავი შეიკავა

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი **ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრს გამოეყოს 55 500 ლარი** შრომის ანაზღაურების ხარჯებისშესავსებად, ვინაიდან წლის განმავლობაში დაუგეგმავი ღონისძიებების დასაფინანსებლა გამოყენებული იქნა მეოთხე კვარტლის სუბსიდიიდან ძირითადად შრომის ანაზღაურების ხარჯები.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 20

თავი შეიკავა 3

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვი

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი **კულტურის ღონისძიებების ხარჯებში გამოიყოს 12 000 ლარი** სხვდასხვა მ.შ. საახალწლო ღონისძიებებისათვის, და **ახალგაზრდული ღონისძიებების ხარჯებში - 7 000 ლარი** გადაუდებელი
ხარჯებისათვის.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 23

თავი შეიკავა

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვი

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი **ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრს გამოეყოს 10 000 ლარი,** გაზეთის ბეჭდვის ხარჯისა და ფოტო აპარატის შესაძენად.
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 20

თავი შეიკავა 3

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვი)
კენჭის ყრაზე დადგა საკითხი **ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს გამოეყოს 9 500 ლარი** სხვადასხვა საოფისე ხარჯების გასაწევად.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 23

თავი შეიკავა

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვი

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი **ა(ა)იპ სათნოების სახლს გამოეყოს 25 000 ლარი** კვების, შრომის ანაზღაურების და სხვადასხვა საოფისე ხარჯებისათვის.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 23

თავი შეიკავა

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი დამტკიცდეს 2023 წლის ბიუტეტის, შემოსავლები **21 708 580 ლარი;**

გადასახდელები 3 117 728 ლარი;

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 23 წევრი

მომხრე 20

თავი შეიკავა 3

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**